სამოქალაქო ჟურნალისტიკის გამოწვევები თანამედროვე საერთაშორისო და ქართულ მედიასივრცეში

დავით დოლიძე
კავკასიის საერთაშორისო უნივერსიტეტის
სოციალურ და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის
მასობრივი კომუნიკაციის სადოქტორო პროგრამის დოქტორანტი

მარინე ვეკუა
საქართველოს საერთაშორისო უნივერსიტეტის პროფესორი

DOI: https://doi.org/10.52340/gbsab.2025.54.11

საკვანძო სიტყვები: მედია და გლობალიზაცია, ახალი მედია, სამოქალაქო ჟურნალისტიკა, საერთაშორისო მედიაბრენდები.

ინფორმაციის ეპოქამ მრავალი გამოწვევა შეუქმნა თითქმის ყველა პროფესიას. მაგალითად, ჟურნალისტიკის შემთხვევაში ინფორმაციული ტექნოლოგიების დანერგვამ, მნიშვნელოვნად შეცვალა პროფესიის სხვადასხვა ასპექტი. მაღალტექნოლოგიურმა რევოლუციამ მნიშვნელოვნად გარდაქმნა საზოგადოების ახალი ამბებისა და ინფორმაციის მოპოვების გზა და ჩამოართვა მასმედიას ტრადიციული მანამდე არსებული მონოპოლია.

დღეს უკვე არსებითად ხდება ახალი მსოფლიო წესრიგის ფორმირება, რომლის სივრცეშიც ჩართულია ეკონომიკური სუბიექტების შედარებით ნაკლები რაოდენობა. აქ საუბარია მსოფლიოში აღიარებულ უმსხვილეს კორპორაციებზე. ამასთან, ხდება როგორც მომსახურების ახალი ფორმების შექმნა, ისე მედიის ტრანსფორმაციის უფრო გლობალური პროცესებიც, როდესაც, გართობისა და ინფორმაციის ინდუსტრია ერთიანდება ტელეკომუნიკაციების აღჭურვილობის ინდუსტრიასთან.

აქ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მივაქციოთ იმას, რომ გლობალური მედიაბაზრის ეკონომიკური მოთხოვნები, რომელიც ფუნქციონირებს მოგებისა და კონკურენციის პრინციპების მიხედვით, არ მოდის თანხვედრაში მასობრივი კომუნიკაციის ეროვნული არხების ტრადიციულ როლთან, ვინაიდან ეროვნული მაუწყებლობის პოლიტიკური და სოციალური ფუნქციები ორიენტირებულია სამოქალაქო ერთიანობის, როგორც ერთი მთლიანის, ინსტიტუტების მხარდაჭერაზე. ეს კი ბუნებრივია, თავისი არსით ეწინააღმდეგება ახალი გლობალური მედიაბაზრის ფილოსოფიას. გლობალურ მედიაბაზარში კი მოიაზრება ჟურნალისტიკის ერთ-ერთი ისეთი ახალი მულტიმედიური მიმართულება როგორიცაა, სამოქალაქო ჟურნალისტიკა.

აღნიშნულ სტატიაში იდენტიფიცირებული პრობლემის გასაანალიზებლად გამოვიყენეთ თანამედროვე კვლევის შემდეგი მეთოდები, კერძოდ კი: კრიტიკული დისკურსის, შედარებითი და კონტენტ ანალიზის მეთოდები. კრიტიკული დისკურ-სის მეთოდი გამოვიყენე, კვლევით ნაშრომთან დაკავშირებული პროფესიული სამეცნიერო ლიტერატურის ანალიზის დროს, რომელიც ძირითადად მოიცავს რამდენიმე ათეულ სამეცნიერო სტატიასა და მონოგრაფიას, რათა შეძლებისდაგვარად სიღრმისეულად შემესწავლა საკვლევ თემასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი

საკითხები.

შედარებითი ანალიზის მეთოდის გამოყენებით, საქართველოში არსებული სამოქალაქო ჟურნალისტიკის განვითარების ეტაპები შევადარე სხვა ქვეყნებში არსებულ მდგომარეობას. რის შედეგადაც, გარკვეულწილად გამოჩნდა მათი საერთო და განმასხვავებელი ნიშნები. კონტენტ ანალიზის მეთოდი კი მნიშვნელოვნად დამეხმარა კვლევაში მიმოხილული მედიასაშუალებების როგორც ინფორმაციული, ისე ვიზუალური კონტენტის შესასწავლად და მათ დასახასიათებლად.

კვლევისას წარმოდგენილი მიდგომებისა და მეთოდების გამოყენება, შემდგომში კი მათი გათვალისწინება, დაგვეხმარა, რომ შესასწავლი საკითხი წარმოჩენილი ყოფილიყო მრავალფეროვნად და საინტერესოდ, რათა არა მხოლოდ სამეცნიერო საზოგადოებამ, არამედ, ზოგადად ამ თემით დაინტერესებულმა ნებისმიერმა მკითხველმაც შეძლოს განხილული საკითხების გაგება და სწორად აღქმა. სწორედ, აღნიშნული მეთოდების დახმარებით გამოვიკვლიეთ, თუ რამდენად იყო ან არის განვითარებული საქართველოში ახალი მედიის საერთაშორისოდ აღიარებული ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება, სამოქალაქო ჟურნალისტიკა.

გლობალიზაციის პირობებში ტექნოლოგიების განვითარებასთან ერთად, ყველას შეუძლია გახდეს ეგრეთ წოდებული მოქალაქე ჟურნალისტი. მობილური ტელეფონის, ფოტო და ვიდეო კამერებისა და ხმის ჩამწერი მოწყობილობების გამოყენებით, ნებისმიერს აქვს შესაძლებლობა, რომ შექმნას საკუთარი მედიაკონტენტი, რომელსაც სოციალურ ქსელებსა თუ სხვადასხვა ინტერნეტ პლატფორმაზე გაავრცელებს. მოქალაქე ჟურნალისტებს აქვთ უნიკალური შესაძლებლობა იყვნენ ყველაზე ოპერატიულები თუკი შესაბამის ვითარებაში აღმოჩნდებიან და მათ მიერ გადაღებული კადრები შესაძლოა ფასდაუდებელი მედიაპროდუქტიც კი აღმოჩნდეს.

თავად ტერმინი სამოქალაქო, ან იგივე მოქალაქეთა ჟურნალისტიკა ქართულ ენაში ინგლისური შესატყვისიდან „Citizen Journalism"-იდან დამკვიდრდა. დასავლურ ქვეყნებში აღნიშნული ტერმინი ასოცირდება ისეთ ჟურნალისტიკასთან, რომელიც არ არის კომერციაზე ორიენტირებული. ეს მიმართულება თავისი არსით არც მაღალი სტანდარტების პროფესიონალიზმსა და ფაქტების პირუთვნელ გადმოცემას გულისხმობს, არამედ მისი მთავარი დანიშნულება სამოქალაქო საზოგადოების ერთგვარი მხარდაჭერაა.

დიდ ბრიტანეთში არსებული ბირმინგემის უნივერსიტეტის მედიამკვლევართა ჯგუფის განმარტებით, სამოქალაქო (მოქალაქეთა) ჟურნალისტიკა, ეს არის ახალი ამბებისა და ნებისმიერი ტიპის ინფორმაციის შეგროვების, შემდგომში მისი დამუშავებისა და გავრცელების პროცესში ერთი კონკრეტული მოქალაქის ან მოქალაქეთა ჯგუფის აქტიური მონაწილეობა, რაც განაპირობებს დემოკრატიული საზოგადოებისთვის საჭირო, ზუსტი, სანდო, რელევანტური და მრავალმხრივი ინფორმაციის მიწოდებას.

თავდაპირველად, მოქალაქე ჟურნალისტები თავიანთ მოპოვებულ მასალებს სხვადასხვა გამოცემების რედაქციებს უგზავნიდნენ გამოსაქვეყნებლად. დღეს კი ტექნოლოგიურმა პროგრესმა და ინტერნეტის მასობრივად ხელმისაწვდომობამ, ისინი თავადვე გახადა როგორც ინფორმაციის მიმღები, ისე გამავრცელებელიც. აუდიტორიამ, ვინც აქამდე თავად იყო ინფორმაციის უწყვეტი ნაკადის ადრესატი, მიიღო ერთგვარი შესაძლებლობა, რათა გამოიყენოს მის ხელთ არსებული ყველა ჟურნალისტური საშუალება და საზოგადოებას მიაწოდოს მისთვის საინტერესო ინფორმაცია.

ამერიკის შეერთებულ შტატებში არსებობს „მოქალაქე ჟურნალისტთა ეროვნული ასოციაცია (NACJ)", რომელიც ერთმანეთისაგან მიჯნავს „მოქალაქე ჟურნალისტებსა"

და ეგრეთ წოდებულ „შემთხვევით მოქალაქე ჟურნალისტებს“. ამ უკანასკნელს ძნელად თუ მოვიხსენიებთ ტერმინით როგორც ჟურნალისტი. რადგანაც, ისინი როგორც წესი უშუალოდ ამა თუ იმ შემთხვევის შემსწრე მოქალაქეები არიან, რომლებიც კონკრეტული მოვლენის შემთხვევის ადგილზე იღებენ ფოტო ან ვიდეო მასალას და შემდეგ ათავსებენ სხვადასხვა სოციალურ ქსელსა თუ ინტერნეტ პლატფორმაზე. ხშირ შემთხვევაში, ამ ყოველივეს ერთჯერადი ქმედების სახე აქვს.

სამოქალაქო ჟურნალისტიკა, როგორც ახალი მედიის დამოუკიდებელი მიმართულება მთელ მსოფლიოში სწრაფი ტემპით ვითარდება. სხვადასხვა ქვეყნებში უკვე ორი ათწლეულია რაც რიგითი მოქალაქეები ცდილობენ ყოველგვარი ჟურნალისტური ნორმების დაცვის გარეშე გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები, შეაგროვონ, გაანალიზონ და გაავრცელონ ის ინფორმაცია, რომელიც მათი აზრით საინტერესო და აუცილებელია საზოგადოებისათვის.

ისინი ამას აკეთებენ ყველასგან დამოუკიდებლად, როგორც თავისუფალი რეპორტიორები და ასევე მათ არ ჰყავთ რედაქტორები. ათეულობით მოქალაქე ჟურნალისტი მთელი მსოფლიოდან დღემდე აშუქებს საომარ მოქმედებებს უკრაინაში და 2023 წლის ოქტომბრის მონაცემებით, 17 მათგანი საკუთარი საქმიანობის შესრულებისას გარდაიცვალა.

ნაშრომში „**ჩვენ და მედია**“, რომლის ავტორიც გახლავთ მოქალაქეთა ჟურნალისტიკის მიმართულებით ერთ-ერთი ყველაზე ცნობილი მკვლევარი დენ გილმორი აღნიშნულია, რომ ტრადიციული მედია ახალი ამბის თხრობისა და გავრცელების პროცესს განიხილავდა, როგორც ერთგვარ მონოტონურ „გაკვეთილს“, რომელსაც მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს. ტექნოლოგიურმა განვითარებამ, მაგალითად, ინტერნეტის შექმნამ ჟურნალისტიკას ფორმა შეუცვალა და გახადა უფრო ინტერაქტიური. შესაბამისად, მასწავლებლის მიერ ახსნილი გაკვეთილი გადაიქცა მოსწავლეთა ჯგუფურ დისკუსიად. სწორედ ამ ცვლილების ნაყოფია სამოქალაქო ჟურნალისტიკა[1].

ჟანრის განვითარების საქმეში დიდი წვლილი შეიტანა მედიამკვლევარ ფექსონ ბანდას ნაშრომმა „სამოქალაქო ჟურნალისტიკა და დემოკრატია აფრიკაში“. სადაც იგი ერთმანეთისგან განაცალკევებს სამოქალაქო ჟურნალისტიკის ორ ტიპს. ესენია, ინსტიტუციური და არაინსტიტუციური. კვლევაში საუბარია, რომ არაინსტიტუციური ტიპის შემთხვევაში, მოქალაქეები თავიანთი შეხედულებისამებრ იყენებენ სოციალურ ქსელებსა და ვებ-პლატფორმებს. არ განიცდიან არანაირ ორგანიზაციულ შეზღუდვებს და არ ემორჩილებიან მედიის თვითრეგულირების სტანდარტებს. ხოლო, ინსტიტუციური მოქალაქეთა ჟურნალისტიკა კი ითვალისწინებს ორგანიზაციული სტრუქტურის არსებობას, აგრეთვე გარკვეული სახის შეზღუდვებს მედიის თვითრეგულირების მხრივ[2].

მოქალაქეთა ჟურნალისტიკის სინონიმია აგრეთვე „მონაწილეობითი ჟურნალისტიკა **(Participatory Journalism)**“. მედიათეორეტიკოს ჯოის ნიპის განმარტებით, მონაწილეობით ჟურნალისტიკაში პროფესიონალები საერთოდ არ არიან ჩართულნი. სოციალურ მედია პლატფორმას, ბლოგს, ახალი ამბების საიტს და ა.შ. ამ დროს მთლიანად მოქალაქეთა ჯგუფი ან რაიმე ორგანიზაცია მართავს. ასევე, მონაწილეობითი ჟურნალისტიკის დროს აქტიურად ხდება მოქალაქეების მიერ პროფესიონალ ჟურნალისტებთან თანამშრომლობა, მოპოვებული ფოტო-ვიდეო მასალის გაზიარების მხრივ. სწორედ ეს არის ამ ორ ტერმინს შორის მთავარი

1 Gillmor, D. We the Media. O'Reilly. 2004. გვ. 64-66.
2 Banda, F. Citizen Journalism & Democracy in Africa. An Explanatory Study. 2010. გვ. 39-40

განმასხვავებელი[1].

აშშ-ში, ჩიკაგოს უნივერსიტეტის მედიის შემსწავლელი ცენტრის მკვლევართა აზრით, ყველაზე ძლიერი მოტივაცია, რაც მოქალაქე ჟურნალისტებს აქვთ არის საზოგადოებაში სტატუსის მოპოვებისა და რეპუტაციის გაზრდის შესაძლებლობა. რაც უფრო მეტი გამოხმაურება ექნება აუდიტორიისგან მათ მიერ გამოქვეყნებულ მასალებს, მით მეტად ღვივდება ენთუზიაზმი კიდევ უფრო მძაფრი მასალების მოპოვებისა. ბევრი მოქალაქე ჟურნალისტი არც მალავს, რომ ეს არის მათი პოტენციალის გამოვლენის და თვითაქტუალიზაციის შესაძლებლობა.

მსოფლიოში დღესდღეობით მოქალაქეთა ჟურნალისტიკის მრავალი პლატფორმა არსებობს. ეს მიმართულება ყველაზე მეტად განვითარებულია აშშ-ში, დიდ ბრიტანეთსა და სკანდინავიის ქვეყნებში. აშშ-ში ამ მიმართულებით ყველასგან გამორჩეულია ორი დიდი მედიაგიგანტის კონტენტი, როგორიცაა **CNN**-ის **Iperport** და **Fox News**-ის **Ureport**. ევროპის კონტინენტზე ყველაზე მეტი, დაახლოებით 47 000 მოქალაქე ჟურნალისტი საკუთარ მასალებს აქვეყნებს დიდ ბრიტანეთში არსებულ საინფორმაციო სააგენტო გარდიანში (T**he Guardian**), რომელსაც ცალკე ვებ-პლატფორმაც კი აქვს მათთვის შექმნილი. ევროპაში სიდიდით მეორე კი დანიური მედიასაშუალება ალტინგეტი (**Altinget.dk)** გახლავთ, თავისი 38 000 უშტატო მოქალაქე რეპორტიორთა კონტინგენტით. გამოცემის რედაქცია დედაქალაქ კოპენჰაგენში მდებარეობს, მაგრამ მასალებს მთელი დანიიდან აქვეყნებენ.

აზიის კონტინენტზე უპირობო ლიდერია სამხრეთ კორეული მედიაპლატფორმა „**OhMyNews**“. იგი 2000 წელს სეულში დაარსდა და მისი სლოგანია „ყველა მოქალაქე არის რეპორტიორი“. აღნიშნულ სააგენტოში მასალების გამომქვეყნებლების მხოლოდ 20% არის მუდმივი დაქირავებული თანამშრომელი. დანარჩენ მასალებზე მომუშავე 80%, რაც დაახლოებით 75 000 სამხრეთ კორეელს მოიცავს, თავად ამზადებს ახალ ამბებს და საიტზე ტვირთავს.

არსებობს მოსაზრება, რომ სამოქალაქო ჟურნალისტიკა უკვე ჩამოყალიბდა როგორც ტრადიციული მედიის ალტერნატიული ფორმა. თუმცა, ბევრად უფრო საინტერესო იქნება თუკი მოქალაქეთა ჟურნალისტიკა და ტრადიციული მედია ერთმანეთთან ითანამშრომლებენ და შექმნიან ჟურნალისტიკის ახალ კონცეფციას. მაგალითისთვის გამოდგება, ჩვენს მიერ უკვე ნახსენები სამხრეთ კორეული საინფორმაციო სააგენტო „**OhMyNews**“. მართალია იგი არის უშუალოდ მოქალაქე ჟურნალისტებისათვის განკუთვნილი ვებ-პლატფორმა, თუმცა, მმართველი რგოლი მაინც პროფესიონალებისაგან არის დაკომპლექტებული. საიტს ჰყავს საკუთარი რედაქტორები, რომელთაც ჩაბარებული აქვთ კონკრეტული სფეროები და მიმართულებები.

აღნიშნული მოდელი სულ ახლახან საკუთარ რედაქციაშიც დანერგა ცნობილმა ბრიტანულმა მედიაგიგანტმა როიტერსმაც (**Reuters**). მართალია იგი მსოფლიოში ერთ-ერთი ყველაზე ძველი საინფორმაციო სააგენტოა, თუმცა, სიახლეების დანერგვას არასდროს ერიდება და ყოველთვის პირველი უწყობს ფეხს. როიტერსში დღეს 2300 პროფესიონალი და 14 000-ზე მეტი მოქალაქე რეპორტიორი მუშაობს მსოფლიოს 40-ზე მეტ ქვეყანაში. მისი ერთ-ერთი რედაქტორი ტომ გლოსერი მიესალმება ტრადიციული მედიისა და სამოქალაქო ჟურნალისტიკის შერწყმის ახალ კონცეფციას, თუმცა, იგი მიიჩნევს, რომ ყოველთვის დადგება საჭიროება ჟურნალისტური ნაშრომების რედაქტირების. მისი აზრით, ახალი მედიის ეპოქაში ტრადიციული მედიის მიმდევარი გამოცემების როლი კონტენტის გაკონტროლებასა და რედაქტირებაშია.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, რამდენიმე დასავლურ ქვეყანაში სამოქალაქო

1 Nip, J. Exploring the second phase of public journalism. Journalism Studies, 2016. გვ. 212-236.

ჟურნალისტიკას ათწლეულების წინ ჩაეყარა საფუძველი და დღეს უკვე ახალი მედიის სრულფასოვანი კომპონენტია. საქართველოში კი საკმაოდ ახალ მიმართულებად ითვლება, რომელიც ქართულ მედიასივრცეში თავის დამკვიდრებას ჯერ კიდევ ცდილობს. თუმცა, დღითიდღე იზრდება იმ ვებ-პლატფორმების რაოდენობა, რომელზეც მოქალაქე ჟურნალისტები თავიანთ კონტენტს ათავსებენ. ზოგიერთი მათგანი კი გასულ წლებში საკმაოდ დიდი პოპულარობით სარგებლობდა, თუმცა, დღეს უკვე აღარ ფუნქციონირებს.

ერთ-ერთი ასეთი გახლდათ, სამოქალაქო ჟურნალისტიკის კლუბის (CJC), კუთვნილი ბლოგი „მე რეპორტიორი / **Ireporter.ge**“. კლუბის დამფუძნებლისა და ჩვენს ქვეყანაში ამ დარგის ერთ-ერთი პიონერის, ნინო ჭელიძის განცხადებით, ბლოგის მიზანი იყო საქართველოში სამოქალაქო ჟურნალისტიკის განვითარება. ნებისმიერ ადამიანს ჰქონდა საშუალება საკუთარი აზრის, მოპოვებული ფოტო და ვიდეო მასალის გამოქვეყნების. გასულ წლებში "მე რეპორტიორის" ფარგლებში აგრეთვე განხორციელდა სამი საგრანტო პროექტიც.

ვებ-გვერდი **www.Ireporter.ge** გახლდათ მოქალაქე ჟურნალისტებისათვის განკუთვნილი კლასიკური სახის ონლაინ პლატფორმა. საიტზე გვხვდებოდა რვა განსხვავებული კატეგორია: ვიდეო რეპორტიორი, ლიტერატურული რეპორტიორი, პოლიტიკური რეპორტიორი, საზოგადოება, მეცნიერება, ფოტორეპორტიორი, ART რეპორტიორი, რა არის ახალი წარსულში და უკატეგორიო.

ვებ-გვერდზე ყველა მასალა რედაქტირების გარეშე გვხვდებოდა. საიტზე დასაქმებულთაგან არცერთი არ იყო პროფესიონალი ჟურნალისტი. შესაბამისად, მათ მიერ გამოქვეყნებულ მასალებში ხშირად გვხვდებოდა პირადი მოსაზრებები და გაშუქებული მოვლენების სუბიექტური აღქმები. გვერდს ყოველდღიურად მინიმუმ 2 500 უნიკალური მომხმარებელი ჰყავდა, რაც იმ დროისათვის რეიტინგის კუთხით საკმაოდ კარგ მაჩვენებლად ითვლებოდა.

ვებ-გვერდის მთავარი ადმინისტრატორისა და რედაქტორის ნინო ჭელიძის განმარტებით, საიტი **Ireporter.ge** დაიხურა 2014 წელს. იგი ამის ძირითად მიზეზად ასახელებს ამ მიმართულებით მომუშავე გარკვეული საერთაშორისო ორგანიზაციების მხრიდან მედიადაფინანსების მნიშვნელოვან შემცირებას მას შემდგომ, რაც ამოიწურა თავდაპირველად გამოყოფილი გრანტები. ორგანიზაციებმა პრიორიტეტად დაისახეს ისეთი ვებ-გვერდების დაფინანსება, რომელიც შემდგომ ფინანსურ დამოუკიდებლობას შედარებით უფრო მარტივად შეძლებდნენ. სამწუხაროდ, მოქალაქე ჟურნალისტების ხელშეწყობა დიდად პრიორიტეტული არც ადგილობრივი ბიზნესისთვის აღმოჩნდა.

მორიგი პლატფორმა, რომელიც ქართული სამოქალაქო ჟურნალისტიკის ისედაც მწირ ისტორიაში ერთ-ერთი პირველთაგანი იყო და დღეს აღარ არსებობს იყო სტუდია თვითმხილველის ვებ-გვერდი **www.gogrupmedia.net**, რომლის სლოგანიც გახლდათ: „ჩვენ არ ვეძებთ გამორჩეულ ადამიანებს, ჩვენთვის საინტერესო ჩვეულებრივი ადამიანები არიან“. ამ პლატფორმაზე რიგითი მოქალაქეები ვიდეო სიუჟეტებს ქმნიდნენ.

საიტზე განთავსებული მასალების უმრავლესობა მოქალაქე რეპორტიორების მიერ იყო გადაღებული და ძირითადად მასში საკუთარ გარშემო არსებულ სიტუაციას გადმოსცემდნენ. რედაქციისთვის მეტად პრიორიტეტული რეგიონებში მიმდინარე მოვლენები იყო. საიტის გაუქმების რეალურ მიზეზად ყოფილი რედაქტორები ბოლო პერიოდში შემოსული მასალების მცირე რაოდენობას ასახელებენ. მათი თქმით, ენთუზიასტი მოქალაქე ჟურნალისტების რიცხვი, მითუმეტეს რეგიონებში სწრაფი ტემპით იკლებდა.

2012 წლამდე არსებობდა რადიო თავისუფლების სპეციალურად მოქალაქე

ჟურნალისტებისათვის განკუთვნილი ვებ-ჩანართიც **radiotavisupleba.ge**, სამოქალაქო ჟურნალისტიკა - რადიო თავისუფლება, სადაც ნებისმიერ მომხმარებელს შეეძლო აეტვირთა ფოტო, ვიდეო ან აუდიო ფაილი და სურვილისამებრ ტექსტური კომენტარებიც დაერთო. აღნიშნულ ბლოგზე საკუთარი მასალის გამოქვეყნება შეეძლო ნებისმიერ მოქალაქე ჟურნალისტს. თუმცა, მასალა გამოქვეყნებამდე აუცილებლად გადიოდა შესაბამის რედაქტირებას.

ჩანართში ძირითადად ჭარბობდა სპორტული და კულტურული მოვლენების ამსახველი მასალები. საინტერესო ფაქტია, რომ ჩანართის არქივში ატვირთული ბოლო ჟურნალისტური ნამუშევარი 2012 წლის 1 ოქტომბრით (საპარლამენტო არჩევნების დღე) თარიღდება. თავად რადიო თავისუფლების რედაქცია კი ვებ-ჩანართის შეწყვეტასა და საპარლამენტო არჩევნების შედეგს შორის კავშირს კატეგორიულად უარყოფს.

სამწუხაროდ, დღეს, საქართველოში მოქალაქე ჟურნალისტებისათვის განკუთვნილი მედია პლატფორმების სერიოზული დეფიციტია. უფრო მეტიც, საერთოდ აღარ მოიძებნება უშუალოდ ამ მიმართულებით მომუშავე ინტერნეტ გამოცემები. აღნიშნული გარემოება, სავარაუდოდ უკავშირდება ამ სფეროთი დაინტერესებული პირების სოციალურ ქსელებში მეტად ი=ნტეგრაციას.

თუკი ათი წლის წინ სოციალური ქსელები ნაკლებად პოპულარული იყო ჩვენს ქვეყანაში და არ წარმოადგენდნენ ინფორმაციის გავრცელების ძლიერ ინსტრუმენტს, ახლა უკვე ყველას შეუძლია გახდეს არა მხოლოდ მისი მომხმარებელი, არამედ შექმნას თავისი კონტენტიც, სადაც სხვადასხვა საშუალებით გაავრცელებს იმ ჟურნალისტურ პროდუქტს, რომელსაც ადრე ზემოთ ნახსენებ ვებ-გვერდებზე ვხვდებოდით. სოციალური ქსელების დახმარებით, მათ აქვთ გაცილებით დიდი შესაძლებლობა, როგორც ფართო აუდიტორიაზე გასვლის, ისე საზოგადოების მხრიდან მეტად ჩართულობისა და ინტერაქტიურობის.

დასკვნა

კვლევის მიზანი იყო, ინტერნეტში ემპირიულ ველზე დაკვირვებით იმის გაგება თუ რამდენად არის განვითარებული საქართველოში სამოქალაქო ჟურნალისტიკის მიმართულება. იმ ძირითადი მიზეზების გარკვევა, რის გამოც მოქალაქე ჟურნალისტები აღარ არიან ისეთი აქტიურები, როგორც დაახლოებით ათიოდე წლის წინ. ქართულ მედიასივრცეში თითქმის აღარ გვხვდება სამოქალაქო ჟურნალისტიკის ელემენტები. მოქალაქე ჟურნალისტები ვებ-პლატფორმების ნაცვლად საკუთარი კონტენტის განთავსებას სოციალურ ქსელებში ამჯობინებენ.

ისინი ამის მიზეზად საზოგადოების მხრიდან ინტერაქტიურობის გაზრდასა და ინფორმაციის კიდევ უფრო სწრაფად გავრცელებას ასახელებენ. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სამოქალაქო ჟურნალისტიკის მიმართულება, თავისი კლასიკური გაგებით, საქართველოში ფაქტობრივად აღარ არსებობს.

დასკვნის სახით, შეგვიძლია შევაჯამოთ, რომ გლობალიზაციის პირობებში საერთაშორისო მედიის განვითარების ძირითად ტენდენციებში ნაგულისხმევია სრულიად ახალი ჟურნალისტური მიმდინარეობების ჩამოყალიბება. ციფრულ ეპოქაში ჟურნალისტს გაცილებით მეტი პროფესიული უნარის გამომუშავება სჭირდება, ვიდრე უწინ, რასაც ქართულ მედიასივრცეში დასაქმებული ადამიანებიც ცდილობენ მოერგონ. თუმცა, ამ მიმართულებით სამუშაო ჯერ კიდევ ბევრია. შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბოლო პერიოდში, საქართველოში სამოქალაქო ჟურნალისტიკის კუთხით საერთოდ არაფერი იქმნება.

ბიბლიოგრაფია

1. Banda, Fackson. Citizen Journalism & Democracy in Africa. An Explanatory Study. 2010.
2. Lee, Laurie Thomas. Multimedia Journalism: The Age of New Technology and New Opportunities. 2008. გვ. 3-6.
3. Nip, Joyce. Exploring the second phase of public journalism. Journalism Studies, 2016. გვ. 212-236.
4. Stevens, Jane. Multimedia Storytelling. Retrieved from Journalism. berkeley.edu. 2014.
5. Thompson, Derek. «Snow Fall» Is not the Future of Journalism. The Atlantic. 2012.
6. Ingram, Mary. The good - and the bad - about the NYT›s Snow Fall feature. from gigaom.com. 2016.
7. Zerba, Amy. Redefining Multimedia Toward a More Packaged Journalism Online. 2004.
8. Packer, Randall. & Jordan, Ken. Multimedia: From Wagner to Virtual Reality. 2001.
9. Lister, Martin. New media: A critical introduction. New york: Routledge. 2009.
10. Gillmor, Dan. We the Media. O›Reilly. 2004.
11. Auletta, Ken. Googled: The end of the world as We Know it, Penguin Press, New york. 2009.

რეზიუმე

ჟურნალისტიკის ყოველდღიურად განვითარების პროცესში მნიშვნელოვანია გავიაზროთ და შევისწავლოთ სხვადასხვა ჟანრების მახასიათებლები, მათი როლი და ადგილი მედია ბაზარზე. დღეს, სოციალური მედია და სხვადასხვა ონლაინ პლატფორმები ამის ფუფუნებას ნამდვილად იძლევა, რაც გვაძლევს საშუალებას იმისა, რომ ჩვენი გონება, კრიტიკული ხედვა და აზროვნება გავაუმჯობესოთ.

გუტენბერგის ეპოქიდან მოყოლებული ცუკერბერგის ეპოქის ჩათვლით მედია ყოველთვის იყო, არის და იქნება როგორც გლობალური ისე ლოკალური, პოლიტიკური, სოციალური, თუ სხვა დარგების „მაჯისცემის შემტყობარი“ და საზოგადოებამდე მიმტანი. მედია პოლიტიკურ და საზოგადოებრივ პროცესებს თავისებურ ბიძგს აძლევს. საზოგადოებაზე მისი გავლენა დიდია და ამიტომაცაა ანგარიშგასაწევი. ვინაიდან, გლობალიზაციისა და ახალი ტექნოლოგიების ეპოქაში ნებისმიერ ადამიანს შეუძლია თავად გახდეს ინფორმაციის გამავრცელებელი, ამიტომ მრავალი ახალი ჟურნალისტური მიმართულება იქმნება და ვითარდება, მათ შორის გახლავთ სამოქალაქო ჟურნალისტიკა. მოქალაქე ჟურნალისტები მთელ მსოფლიოში დიდი პოპულარობითა და საზოგადოების მხარდაჭერით სარგებლობენ.

CHALLENGES OF CITIZEN JOURNALISM IN THE MODERN INTERNATIONAL AND GEORGIAN MEDIA SPACE

Davit Dolidze
Ph. D. Student of Mass Communication Doctoral Educational Program
Caucasus International University
Marine Vekua
Professor of Georgian International University

Abstract

In the daily development process of journalism, it is important to understand and study the characteristics of different genres, their role and place in the media market. Today, social media and various online platforms really provide the luxury of this, allowing us to sharpen our minds, critical vision and thinking.

From the age of Gutenberg to the age of Zuckerberg, the media has always been, is, and will be both global and local, political, social, and other fields of "pulse reporting" and delivering to the public. The media gives political and social processes a special impetus. Its influence on the society is great and therefore it is accountable. Since, in the era of globalization and new technologies, any person can become a disseminator of information, therefore many new journalistic directions are created and developed, including civil journalism. Citizen journalists enjoy great popularity and public support all over the world.

Keywords: Media and globalization, new media, citizen journalism, international media brands.